




ავტორები: თორნიკე სურგულაძე და დავით კუშელავა

ესეც ეკონომიკური იმპულსი: დავობითები იზრდება, ვაჭრობა იზრდება – ძირითადად რეჩესპორტის ხარჯზე, ფულადი გზავნილების დინამიკა კი იცვლება – საქართველოს მშპ-ის ზრდის პროგნოზი

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2023 წლის მეოთხე და 2024 წლის პირველი კვარტლების მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა. ქვემოთ მოცემულია ამ თვის განახლებების ძირითადი მიგნებები.

ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2023 წლის ოქტომბრის მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება გამოაქვეყნა. მოსალოდნელია მშპ-ის 6.2%-ით ზრდა, მშპ-ის ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 2023 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდში კი 6.9 %-ს მიაღწია.
- ნოემბერში საქსტატმა 2023 წლის პირველი და მეორე კვარტლების მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება გამოაქვეყნა. ზრდის მაჩვენებელი 1-ელ კვარტალში 7.7%-დან 8.0%-მდე დაკორექტირდა, ხოლო მე-2 კვარტალში – 7.5%-დან 7.8%-მდე. მე-3 კვარტალში მოსალოდნელი



ზრდის მაჩვენებელი დასაწყისში უცვლელი დარჩა, მაგრამ დეკემბრის ბოლოსთვის 5.7%-მდე დაკორექტირდა. თუმცა ეს უკანასკნელი ცვლილება დეკემბრის პროგნოზში ჯერ ასახული არ არის.

- ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის შეფასების თანახმად, 2023 წლის მეოთხე კვარტალში მშპ-ის რეალური ზრდის წლიური მაჩვენებელი 6.2% იქნება, 2024 წლის პირველი კვარტლის კი – 2.7%.
- ოქტომბრის მონაცემებზე დაყრდნობით, 2023 წელს წლიური ზრდის პროგნოზი 7.3%-ს შეადგენს.

მშპ-ის ზრდის პროგნოზის განმავლობაში ცვლადები:

დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ცვლადების ერთ-ერთი ჯგუფი, რომელმაც ზომიერი გავლენა იქონია ჩვენს პროგნოზზე, კომერციულ ბანკებში ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტების მოცულობა იყო. ეროვნულ ვალუტაში არსებული ყველა კატეგორიის დეპოზიტის ღირებულება წლიურ ჭრილში გაიზარდა. ეროვნულ ვალუტაში არსებული მიმდინარე დეპოზიტები წლიური 45.2%-ით გაიზარდა, ხოლო ვადიანი დეპოზიტები – 34.7%-ით. **შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტები წლიური 37.2%-ით გაიზარდა.** *ეროვნულ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს დადებითი გავლენა ჰქონდათ მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზზე.*

ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტებისგან განსხვავებით, **უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების ზრდის მაჩვენებელი, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, ნაკლები ტემპით, 2.7%-ით გაიზარდა.** ამავდროულად, უცხოურ ვალუტაში მიმდინარე ანგარიშები წლიურ ჭრილში 3.7%-ით შემცირდა. ხოლო უცხოურ ვალუტაში არსებული ვადიანი დეპოზიტები და მიმდინარე დეპოზიტები წლიური 11.1%-ით და 0.7%-ით გაიზარდა. უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების წლიური ზრდის მაჩვენებლის ზრდა ეროვნული ვალუტის გაუფასურებით იყო განპირობებული. დეპოზიტების დოლარიზაცია, მათ შორის ფართო ფული, 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა თვითონ, ხოლო წლიურ ჭრილში 14.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა. *ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, დადებითი წლიური ტენდენციების მიუხედავად, უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს შედარებით დიდი უარყოფითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.*

საქონლით ვაჭრობა. ოქტომბერში საქართველოს ექსპორტი წლიურად 10.3%-ით გაიზარდა. ეს, ძირითადად, ავტომობილების (176.8%-ით ზრდა) გაზრდილი ექსპორტითა და რეექსპორტით იყო განპირობებული. თუმცა შემცირდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (85.6%-ით კლება), ფეროშენადნობის (80%-ით კლება), მინერალური და ქიმიური სასუქების (5.6%-ით კლება) და ნატურალური ყურძნის ღვინოების (13.6%-ით კლება) ექსპორტი და რეექსპორტი.

ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი 4.8%-ით გაიზარდა, რაც უმეტესად ავტომობილების (წლიური 6.5%-ით), დაფასოებული მედიკამენტების (წლიური 59.1%-ით ზრდა) და აირების და სხვა თხევადი ნახშირწყალბადის (წლიური 37.2 %-ით) გაზრდილმა იმპორტმა/რეიმპორტმა განაპირობა. ამის საპირისპიროდ, 1%-ით შემცირდა *საწვავისა და ნავთობპროდუქტების* იმპორტის/რეიმპორტის წლიური მაჩვენებელი. **მიუხედავად ამისა, საგარეო სავაჭრო დეფიციტი მცირედით, წლიური 1.6%-ით, შემცირდა და 766.9 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.** *საერთო ჯამში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის ზრდის პროგნოზში.*



ფულადი გზავნილები. ოქტომბერში ფულადი გზავნილები წლიური **43.6%**-ით შემცირდა და **283 მლნ აშშ დოლარი შეადგინა**. აღნიშნული შემცირების მთავარი ხელშემწყობნი იყვნენ: რუსეთის ფედერაცია (79.4%-ით კლება, წლიური -47.3 პროცენტული პუნქტი), თურქეთი (5.5%-ით კლება, წლიური -0.1 პროცენტული პუნქტი), ყირგიზეთი (79%-ით კლება, წლიური -2.6 პროცენტული პუნქტი) და დიდი ბრიტანეთი (9.4%-ით კლება, წლიური -0.1 პროცენტული პუნქტი). გაიზარდა ფულადი გზავნილები იტალიიდან (წლიური 19.2 %-ით ზრდა, 1.4 პროცენტული პუნქტი), *აშშ-დან* (წლიური 39.2 %-ით ზრდა, 2,3 პროცენტული პუნქტი), *გერმანიიდან* (წლიური 31.1 %-ით ზრდა, 1 პროცენტული პუნქტი), *საბერძნეთიდან* (წლიური 11%-ით ზრდა, 0.4 პროცენტული პუნქტი), *ყაზახეთიდან* (წლიური 97.6%-ით ზრდა, 1.6 პროცენტული პუნქტი), *ესპანეთიდან* (წლიური 11.7%-ით ზრდა, 0.1 პროცენტული პუნქტი), *საფრანგეთიდან* (წლიური 11.6 %-ით ზრდა, 0.1 პროცენტული პუნქტი). ფულადი ნაკადის შემცირება შესაძლოა განპირობებული იყოს საბაზო ეფექტით. 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ, საქართველოში რუსეთის მრავალი მოქალაქე შემოვიდა, რომლებიც თანხებს პირადი მიზნებისთვის რიცხავდნენ. ახლა კი საქართველო უბრუნდება ფულადი გზავნილების შემოდინების სტანდარტულ მოდელს იმდენად, რამდენადაც მცირდება რუსეთის მოქალაქეების შემოდინებით გამოწვეული ზეგავლენა. მეტი სიცხადისთვის, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მესამე კვარტალში საგრძნობლად (40%-ით) გაიზარდა შემოდინებული ფულადი ნაკადი, 2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. *საერთო ჯამში, შემოდინებულმა ფულადმა გზავნილებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზში.*

გაცვლითი კურსი. ივლისში ქართული ლარი აშშ დოლართან (თვიურ ჭრილში 1%-ით), ევროსა (თვიურ ჭრილში 0.6%-ით) და რუბლთან მიმართებით (თვიურ ჭრილში 5.7%-ით) გაუფასურდა. მიუხედავად ამისა, ქართული ლარი მცირედით (თვიურ ჭრილში 1.9%-ით) გამყარდა თურქულ ლირასთან მიმართებით. ამავდროულად, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის (REER) თვიური მაჩვენებელი **0.8%**-ით გაუფასურდა, ხოლო წლიური მაჩვენებელი **6.3%**-ით გამყარდა. REER-ის ზრდა უმეტესწილად დაკავშირებულია რუსეთის მოქალაქეების შემოდინებასთან. ერთი მხრივ, ქართული ლარის ღირებულების შემცირებას უარყოფითი გავლენა აქვს საქართველოს მოსახლეობაზე, რადგან ქვეყანა დიდწილად დამოკიდებულია იმპორტზე და აქვს სესხების დოლარიზაციის მაღალი დონე (ბიზნესები იღებენ შემოსავალს და იხდიან ვალდებულებებს სხვადასხვა ვალუტაში), მეორე მხრივ კი ზრდის ექსპორტის კონკურენტუნარიანობას. აღნიშნული ორმაგი ეფექტი შესაძლოა დადებითად აისახოს საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. *საერთო ჯამში, REER-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზში.*

ფულის მასა. ოქტომბერში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულის მასის ყველა აგრეგატი წლიურ ჭრილში, მათ შორის ბანკებს მიღმა არსებული ნაღდი ფული (M0) და ფართო ფული (M3). ფულის მასის M2 და M3 აგრეგატებმა, შესაბამისად, 33.1%-იანი და 15.5%-იანი წლიური ზრდა განიცადა. მიმოქცევაში არსებულმა ვალუტამ და ბანკებს გარეთ არსებულმა ნაღდმა ფულმა (M0), შესაბამისად, წლიური 14%-ით და 18.4%-ით მოიმატა. *საერთო ჯამში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, ფულის მასასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირე დადებითი წვლილი შეიტანა მშპ-ის რეალურ ზრდის პროგნოზში.*



სამომხმარებლო სესხი. ოქტომბერში კომერციული ბანკების სამომხმარებლო სესხების მთლიანი მოცულობა თვიური 1.6%-ით და წლიური 21.7%-ით გაიზარდა. ამავდროულად, კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა თვიურ ჭრილში 5.2%-ით, ხოლო წლიურ ჭრილში 22.3%-ით გაიზარდა (ამგვარი ტენდენციის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების წლიურ ჭრილში, შესაბამისად, 15.1%-ით, და 64.3 %-ით ზრდაა). აღსანიშნავია ისიც, რომ კომერციულ ბანკებში გრძელვადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა თვიურ ჭრილში 1.5%-ით, ხოლო წლიურ ჭრილში 21.7%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზრდის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა. ზრდის მაჩვენებელი 2022 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში 34.3%-ს შეადგენდა, 2023 წელს კი მნიშვნელოვნად, 20.7%-ით შემცირდა. მიმდინარე წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ეტაპობრივად შეამცირა გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ამჟამად 9.5%-ს შეადგენს. *საერთო ჯამში, დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს მცირე უარყოფითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზში.*

ინფლაცია. სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია **0.8%-ს** გაუტოლდა, რაც მიზნობრივ **3%-ს** მნიშვნელოვნად ჩამორჩება. სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაციის შემცირება დიდწილად განაპირობა ისეთმა გარე ფაქტორებმა, როგორცაა პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ფასებზე ზეწოლის შემსუბუქება. აღსანიშნავია, რომ **საწვავის ფასები (ევრო ბრენტის ფასი (COP)) წლიური 11.1%-ით შემცირდა.** მიუხედავად ამისა, ქართული ლარის გაუფასურება ზრდის იმპორტული საქონლის ფასს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მაღალია საქონლის საერთაშორისო ბაზარზე ინფლაციის ზრდის რისკი. თუ ეს რისკი გამართლდა, გაიზრდება იმპორტირებული საქონლის ფასებიც. *საერთო ჯამში, სამომხმარებლო ფასების ინდექსთან (CPI) დაკავშირებულ ცვლადებს მცირე დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზში.*

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი **ახალი ეკონომიკის სკოლის** მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.